

**ქართულ-აფხაზური გამყოფი
ხაზის გასწვრივ მცხოვრები
სამებრელო-ზემო სვანეთის
მოსახლეობის პრობლემები
და საჭიროებები**

**საჯარო პოლიტიკის ასპექტები
მოკლე მიმოხილვა**



წინამდებარე პუბლიკაცია მოიცავს ორ ანგარიშს, რომლებიც მომზადდა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ განხორციელებული პროექტის “აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლა” ფარგლებში.

ნაშრომის გამოქვეყნება შესაძლებელი გახდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტების თავიდან აცილების გლობალური ფონდის დაფინანსებით.

პროექტის კოორდინატორი:	არჩილ გეგეშიძე
ასისტენტი:	ქეთევან ეშუსვარი
რედაქტორი:	რუსუდან მარბიშვილი
მთარგმნელი:	რუსუდან მარბიშვილი

ტირაჟი: 100

წინამდებარე გამოცემაში თავმოყრილი დოკუმენტების შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს მთავრობის თვალსაზრისს.

წიგნაკმა

სახალხო პოლიტიკის წინამდებარე დოკუმენტი ეფუძნება კვლევას, რომელიც განახორციელა საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდმა, პროექტის – „ქართულ-აფხაზური გამყოფი ხაზის გასწვრივ მცხოვრები სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის პრობლემები და საჭიროებები“ – ფარგლებში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

კვლევით პროცესს ხელმძღვანელობდა ორი ექსპერტი – მანანა გაბაშვილი და ანა დიაკონიძე, ხოლო მათი ანგარიშების საფუძველზე გიორგი თარხან-მოურავმა მოამზადა წინამდებარე ტექსტი. მუშაობის პროცესში მკვლევართა ჯგუფს მუდმივ დახმარებას უწევდნენ პროექტის კოორდინატორი არჩილ გეგეშიძე და პროექტის ასისტენტი ქეთევან ემუხვარი.

ჩატარებული სამუშაოს მიზანი იყო გაანალიზებულიყო არსებული სიტუაცია და შემუშავებულიყო რეკომენდაციები ქართულ-აფხაზური გამყოფი ხაზის (ადმინისტრაციული საზღვრის) გასწვრივ მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის განსასაზღვრად. პროექტი იმთავითვე ჩაფიქრებული იყო, როგორც ნაწილი ორი პარალელური კვლევითი პროექტისაგან შემდგარი უფრო ვრცელი პროგრამისა, რომელიც შეისწავლიდა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის საარსებო პირობებს. მოცემული კვლევის კონკრეტული ამოცანა კი იყო აფხაზეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მდებარე სამეგრელო-ზემო სვანეთის დასახლებებში მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების, ცხოვრების დონისა და ხარისხის, ასევე, ამ სფეროებში მომხდარი (2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ) და სამომავლოდ მოსალოდნელი ცვლილებების შესწავლა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად მიმართული სამთავრობო და არასამთავრობო პროგრამებისა და პროექტების ეფექტურობის შეფასებას.

ხელთ არსებული ინფორმაციის ანალიზთან ერთად, გამოყენებულ იქნა ემპირიული კვლევის ორი ძირითადი ინსტრუმენტი: რაოდენობრივი, რომელიც ითვალისწინებდა სტანდარტული კითხვარის საშუალებით მოსახლეობის გამოკითხვას (500 რესპონდენტი) და მიღებული შედეგების სტატისტიკურ დამუშავებას, და ხარისხობრივი, რომელიც ემყარებოდა ექსპერტებისგან ჩაღრმავებული, ნაწილობრივ სტრუქტურირებული ინტერვიუების აღებას, რაც შევსებულ იქნა რამდენიმე ფოკუს-ჯგუფით. ექსპერტებთან მუშაობაც ორიენტირებული იყო იმ საკვანძო სოციალური

პრობლემებისა და სირთულეების გამოვლენაზე, რომელთა წინაშეც დგას შესწავლილი რეგიონის მოსახლეობა. ზოგადი თემების პარალელურად განიხილებოდა უფრო კონკრეტული საკითხებიც, რომლებიც შეეხებოდა რეგიონში განხორციელებულ სოციალურ პოლიტიკას და მიზნობრივ პროგრამებს, რაც შემდგომ გამოყენებულ იქნა ამ კონკრეტული პროგრამების ეფექტურობისა და რელევანტურობის გასაანალიზებლად.

მიღებული მონაცემების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად წვლილი შეიტანოს სოციალური პოლიტიკისა და რეგიონის განვითარების პროგრამების ეფექტიანობის გაზრდაში. მიმდინარე და დასრულებული პროგრამებისა და მიდგომების წარმატება/წარუმატებლობის მთავარ ინდიკატორად გამოყენებულ იქნა სამიზნე ჯგუფებში ცხოვრებით კმაყოფილების დონე. რეკომენდაციების ძირითადი ადრესატია საქართველოს ხელისუფლება, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ დონეზე.

სიტუაციის მიმოხილვა

სოცკონფლიქტური სიტუაცია კვლავინდებურად გავლენას ახდენს როგორც დევნილების, ისე საზღვრისპირა რაიონებსა და დასახლებებში მცხოვრები მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებზე, თუმცა ამ პირობებზე ასევე მოქმედებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესები. 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა ძირეულად შეცვალა პოლიტიკური ვითარება საქართველოში. სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში არა მხოლოდ შერბილდება რუსეთთან და აფხაზეთის ხელისუფლებასთან დაკავშირებული რიტორიკა, არამედ დაიწყება რეალური ცვლილებები – გაადვილდება გამყოფი ხაზის გადალახვა, დამყარდება ეკონომიკური კავშირები, გაცხოველდება თემთა შორის დიალოგი. შესაძლოა ხელი მოეწეროს ხელშეკრულებას აფხაზეთთან ძალის არგამოყენებაზე. თუმცა ალსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები ცვლილებები კვლევის ჩატარების შემდეგ მოხდა და, შესაბამისად, არ ასახულა კვლევის შედეგებზე.

მართალია, ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ ნაკლებადაა ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მაინც დამატებით ტვირთად დაანვა ისედაც სუსტ ქართულ ეკონომიკას. საქართველომ მძიმედ გადაიტანა ეკონომიკური კრიზისის შედეგები, რასაც დაემატა 2008 წელს რუსეთთან ომით დაზარალებული ეკონომიკის აღდგენის აუცილებლობა, თუმცა დასავლეთის დიდძალმა დახმარებამ მნიშვნელოვანწილად შეამსუბუქა ომით გამოწვეული ზარა-

ლი. მიუხედავად შესამჩნევი მაკროეკონომიკური წარმატებებისა, 2008 წლის აგვისტომდეც კი მასობრივი სიღარიბე თუკი შემცირდა კიდეც წინა წლების განმავლობაში – მხოლოდ უმნიშვნელოდ, უმუშევრობისა და სოციალური უთანასწორობის მაჩვენებლები კი ისევ მაღალ ნიშნულზე დარჩა. სიღარიბე პირდაპირ უკავშირდება დასაქმებისა და შრომის წარმადობის დაბალ დონეს, განსაკუთრებით – სოფლის მეურნეობაში. მიუხედავად ეკონომიკური ზრდისა, მოსახლეობის უმრავლესობა კვლავაც ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული და მართალია, ეს საქმიანობა, როგორც წესი, უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს, მაინც ძალიან ცოტას აქვს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივა. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენენ სოფლის მაცხოვრებლები, ხოლო სამუშაო ძალის 55 პროცენტი დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში, ეკონომიკის ამ სექტორში იქმნება მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 8-9 პროცენტი. მართლაც, უმუშევრობა რჩება უმნიშვნელოვანეს მზარდ სოციალურ პრობლემად (ოფიციალური და სავარაუდოდ შელამაზებული მონაცემების თანახმად, 2004 წლის 12 პროცენტიდან 2009 წლისთვის 16 პროცენტამდე ზრდას ჰქონდა ადგილი, ხოლო იმ დროიდან მოყოლებული უმუშევრობის სტატისტიკა ამ მნიშვნელობის გარშემო ფლუქტუირებს).

ფართოდ გავრცელებული სიღარიბის ფონზე სოციალური დაცვის ეროვნულმა სისტემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. შესაბამისად, სოციალური დაცვა, სადაც შედის პენსია და კონკრეტული ჯგუფების საპენსიო დანამატი, ბავშვთა დახმარება, უნარშეზღუდულთა დახმარებები და რამდენიმე წლის წინ შემოღებული მისამართული სოციალური დახმარებები, ტრადიციულად შთანთქავს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვან ნაწილს. პენსიების ჯამური ოდენობა, გამოყოფილი პენსიონერთა (რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია – 2010 წლისათვის საქართველოში იყო 838 ათასი პენსიონერი) სოციალური დახმარებისათვის, გამოყოფილი ბიუჯეტის ნაწილის უმსხვილეს ქვედანაყოფად რჩება.

კვლავაც არადამაკმაყოფილებელია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენების საცხოვრებლით დაკმაყოფილება. ახალი საცხოვრებლების მშენებლობა თითქმის მთლიანად კერძო სექტორის ხელშია გადასული და 1990-იან წლებში საცხოვრებელი ფონდის ნაჩქარევი პრივატიზაციის შემდეგ სახელმწიფომ პრაქტიკულად შეწყვიტა საცხოვრებლების მშენებლობაში ჩარევა, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა – მაგალითად, როდესაც აშენდა საცხოვრებლები იძულებით გადაადგილებული პირებისთვის (კერძოდ, 2008 წლის შემოდგომაზე).

ემიგრაცია კვლავ რჩება ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრის პოპულარულ საშუალებად. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული

დაუსრულებელმა ეკონომიკურმა კრიზისმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ აიძულა საქართველოს ასეულ ათასობით მოქალაქე წასულიყო სამშობლოდან და უსაფრთხოება, საარსებო სახსარი და თვითრეალიზაციის შესაძლებლობები საზღვარგარეთ ეძებნა. აქვე უნდა ითქვას, რომ დიდი წყვეტის შემდეგ 2010 წელს პირველად აღინიშნა საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტენდენცია, რაც განაპირობა როგორც მოსახლეობის ბუნებრივმა ზრდამ, ისე მიგრაციის დადებითმა საღლომ.

რეგიონის მოკლე დასასიათება

სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე მდებარეობს საქართველოს ჩრდილო-დასვლეთ ნაწილში. რეგიონის ტერიტორია მოიცავს საქართველოს მთლიანი ფართობის 10,6 პროცენტს, რაც შეადგენს 7,4 ათას კვ.კმ-ს. ამ მონაცემების მიხედვით, რეგიონი სიდიდით საქართველოს რეგიონებს შორის მეორე ადგილასაა. 2002 წლის აღწერის თანახმად, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა შეადგენს 466 100 ადამიანს – საქართველოს მოსახლეობის მთლიანი რაოდენობის 10,67 პროცენტს. აქედან 98,6 პროცენტი ეროვნებით ქართველია. სამეგრელო-ზემო სვანეთის ქართველები იყოფიან მეგრელებად (90 პროცენტამდე) და სვანებად (10 პროცენტამდე), რომლებიც ძირითადად ცხოვრობენ ზემო სვანეთში – მესტიის მუნიციპალიტეტში. კონფესიური ნიშნით სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მიეკუთვნება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას – ასეთი არის 462 435 ადამიანი (99,2 %). რეგიონში ასევე არიან მცირე რაოდენობით ისლამისა (1015) და სომხური სამოციქულო ეკლესიის (190) მიმდევრები. რეგიონის ქალაქებია: ზუგდიდი (68 894), ფოთი (53 149), სენაკი (28 082), წალენჯიხა (8 945), აბაშა (6 400), მარტვილი (5 600), ჯვარი (4 800), ასევე დასახლება ჩხოროწყუ (5 900) და მესტია (2 600).

პროექტის ფარგლებში შესწავლილი ტერიტორია წარმოადგენს გამყოფი ხაზის – აფხაზეთთან ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მდებარე ზოლს და, როგორც ზემოთაც ითქვა, მოიცავს ზუგდიდს, წალენჯიხას, ანაკლიას, ხურორას, ხაიშს, ფოცხო-ენერს, რუხს, განმუხურს, ნყოშს, ქალაღანს, ჭუბერს. ზოგადად რეგიონში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მით უმეტეს, რომ ეს რეგიონი მეორე ადგილზეა (თბილისის შემდეგ) იძულებით გადაადგილებულ პირთა უმსხვილესი კონცენტრაციის მიხედვით – დღეისათვის დევნილების საერთო რიცხვის 34 პროცენტი (1993 წლის შემდეგ ეს რიცხვი ზოგჯერ 40 პროცენტსაც აღწევდა) ცხოვრობს სამეგრელო-ზემო სვანეთში. ამის გამო რეგიონი მუდმივად არის სხვადასხვა ჰუმანიტარული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში.

მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი და საჭიროებები

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონმა ძალიან რთული ოცი წელი გამოიარა. კვლევის შედეგები როგორც გამყოფი ხაზის გასწვრივ, ისე მთლიანად რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საკმაოდ დუხჭირ ეკონომიკურ მდგომარეობაზე მიუთითებს. რესპონდენტების დაახლოებით 75 პროცენტი საკუთარ თავს „ლარიბად“ ან „საშუალოზე დაბალი შეძლებისად“ მიიჩნევს, და, ზოგადად, ეს სუბიექტური თვითშეფასება შეესაბამება სხვა, უფრო ობიექტურ, ემპირიულ მონაცემებს. საკუთარივე შეფასებების თანახმად, გამოკითხულთა დაახლოებით 63 პროცენტი ყოველთვიურად, საშუალოდ, 300 ლარზე ნაკლებ შემოსავალს იღებდა, რაც ჭამასა და ტანსაცმელზე ძლივს ჰყოფნის ადამიანს.

ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით, საკმაოდ მკვეთრი განსხვავება შეინიშნება ქალაქსა და სოფელს შორის. იმ ოჯახების უმეტესობა, რომლებიც მიეკუთვნებიან „საშუალო შემოსავლის მქონეთ/შეძლებულებს“, ცხოვრობენ ზუგდიდსა და წალენჯიხაში. ქალაქის ტიპის დასახლებებში შემოსავლის ძირითადი წყაროა რეგულარული/ყოველთვიური ხელფასი და სამენარმეო თუ სავაჭრო საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, განსხვავებით სოფლის მაცხოვრებლებისაგან, რომლებიც შემოსავალს სოფლის მეურნეობის ნაწარმის გაყიდვით ან სოციალური დახმარების სახით იღებენ.

რეგიონის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად დასახელდა უმუშევრობა. ოფიციალური მონაცემებით, დასაქმებულთა საერთო მაჩვენებელია 59 პროცენტი, თუმცა ამ „დასაქმებულთა“ უმრავლესობა თვითდასაქმებულია, ძირითადად სოფლის მეურნეობის სფეროში (77%) და მხოლოდ მცირე ნაწილი ეწევა ტურისტულ ბიზნესს (განსაკუთრებით სვანეთში). რესპონდენტების უმრავლესობა (75%) საკუთარ თავს ლარიბებისა და საშუალო მდგომარეობის რიგებში მოიაზრებს, თუმცა ის ჯგუფიც, რომელმაც საკუთარი ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას უწოდა „საშუალო“, ამბობს, რომ შემოსავალი ჰყოფნის მხოლოდ საკვებისა და ტანსაცმლისთვის.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტების ეკონომიკურ მდგომარეობაზე ძლიერად მოქმედებს გეოგრაფია, ანუ შეინიშნება სარწმუნო სტატისტიკური კორელაცია საცხოვრებელ ადგილსა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. როდესაც ლაპარაკია „საშუალო მდგომარეობისა“ და „მიდღრების“ კატეგორიებზე, ამ მხრივ უპირობოდ ლიდერობს ზუგდიდი. წალენჯიხაში, ჭუბერსა და ხაიშში ვითარება ოდნავ უარესია, აქ ერთ შეძლებულ ადამიანს შეეფარდება ორი შედარებით ლარიბი (1:2). ანაკლიაში, ხურჩასა და განმუხურში ეს ფარდობა უფრო დიდია და

შეადგენს 1:3-ს. ამ კრიტერიუმების მიხედვით, უღარიბესი დასახლებული პუნქტებია: რუხი (7 „შედარებით ღარიბი“ თითო „შეძლებულ“ რესპონდენტზე), ფოცხო-ენერი, ქალალანი და წყოუმი. ბოლო სამ ადგილას მოსახლეთა მხოლოდ 2 პროცენტამდე განეკუთვნება „შეძლებულების“ კატეგორიას, ხოლო შესაბამისი ფარდობა არის კატასტროფულად დიდი და შეესაბამება 1:54-ს. უნდა აღინიშნოს, რომ სიღარიბის ზოგად სურათზე ასევე მოქმედებს იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა, რომლებიც, როგორც წესი, უფრო ღარიბები არიან, მაგრამ არათანაბრად არიან გადანაწილებული სხვადასხვა დასახლებულ პუნქტში.

გამოიკვეთა რესპონდენტების შემოსავლის სამი ძირითადი წყარო – ეს არის პენსია (რესპონდენტების დაახლოებით 20 პროცენტი), შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და სპეციალური დახმარება, რომელსაც იღებენ იძულებით გადაადგილებული პირები (თითქმის 17 პროცენტი). შემოსავლის სხვა მნიშვნელოვანი წყაროებია სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია (10%) და არარეგულარული/დროებითი სამუშაოს შესრულებით გამოიმუშავებული ანაზღაურება (10%). დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლის წყაროების შედარებისას სამ ძირითად სფეროში შეინიშნება არსებითი განსხვავებები. მასობრივად სოციალურ დახმარებას იღებენ მხოლოდ დევნილის ოფიციალური სტატუსის მქონე პირები, და ეს დახმარება, უმუშევრობის მაღალი დონისა და მიწის ნაკვეთების უქონლობის ფონზე, წარმოადგენს შემოსავლის ერთადერთ მსხვილ წყაროს მოსახლეობის ამ ჯგუფისთვის. ქალაქ ზუგდიდში, სადაც ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ყველაზე კარგია, შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს მუდმივი სამუშაოდან მიღებული ხელფასი და პენსია. უღარიბეს დასახლებულ პუნქტში კი – სოფელ რუხში – მოსახლეობა იძულებულია ძირითადად დაეყრდნოს სოციალურ დახმარებას – პენსიებსა (29%) და დევნილთა დახმარებებს (43%).

გამოკითხვამ ერთმნიშვნელოვნად აჩვენა, რომ მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობასთან ერთად, რეგიონის მოსახლეობის მთავარ პრობლემას წარმოადგენს. ამასთან, საერთო სიღარიბესთან ერთად, აღინიშნა ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული პრობლემებიც. ჯანდაცვის სფეროში, დიაგნოსტიკა-მკურნალობის ხელმისაწვდომობის სირთულესთან ერთად, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ზოგიერთი დაავადების მზარდი გავრცელება, რასაც ამძიმებს შესაბამისი მკურნალობის სირთულე, წამლების, სპეციალური სამედიცინო მომსახურებისა და ქირურგიული ოპერაციის სიძვირე, ასევე – სადაზღვეო მედიცინის სფეროში არსებული ნაკლოვანებები. ავადმყოფობის გამო მკურნალობის ხარჯების დასაფარად მრავალი ოჯახი იძულებულია გაყიდოს ან დააგირავოს ქონება.

გამოკითხვამ შესაძლებელი გახადა გამოვლენილიყო რესპონდენტების სუბიექტური აღქმის მიხედვით განაწილებული სოციალური თუ სხვაგვარი პრობლემების იერარქია. რესპონდენტებმა მთავარ პრობლემებს შორის დაასახლეს მათი დასახლებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი პრობლემები: 1. მოსახლეობის სოციალური დაუცველობა /სიღარიბე – 30 პროცენტი, 2. ეკონომიკური კრიზისი – 18 პროცენტი, 3-5. ა) ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოუწესრიგებლობა; ბ) დევნილების მძიმე საცხოვრებელი პირობები და გ) ხარისხიანი სამედიცინო დახმარების შეზღუდული ხელმისაწვდომობა (შესაბამისად, 12 პროცენტი, 11 პროცენტი და 10 პროცენტი). მიღებული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ ეკონომიკური გაჭირვება, პოლიტიკურ არასტაბილურობასთან დაკავშირებულ შიშებსა და დევნილთა ცხოვრების მძიმე პირობებთან ერთად, პრაქტიკულად ყველგან წარმოადგენს საკვანძო პრობლემებს, გეოგრაფიული მდებარეობისაგან დამოუკიდებლად. ირკვევა, ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მცხოვრებ მოსახლეობას შედარებით ნაკლებად აღელვებს კორუფცია, დემოკრატიის მდგომარეობა ქვეყანაში, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა თუ ხარისხიანი განათლების შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა ზოგადად უკმაყოფილოა საკუთარი ცხოვრებით. ბევრი რესპონდენტი უკმაყოფილო საკუთარი შემოსავლის დონით (86%), სამუშაოთი (65%) და ცხოვრების პირობებით (67%). ცხოვრებით კმაყოფილება ტერიტორიულ ჭრილში რომ განვიხილოთ, უკმაყოფილო რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ცხოვრობს ფოცხო-ენერში (80%), სადაც თითქმის ყველა მაცხოვრებელი დევნილია აფხაზეთიდან, შემდეგ არის განმუხური – 78 პროცენტი, და ქალალანი – 83 პროცენტი. ეს ბოლო ორი დასახლება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მდებარეობს და მოსახლეობას უწევს ცხოვრების მძიმე პირობებისა და დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის ორმაგი სტრესის გაძლევა. მეორე მხრივ, ზუგდიდის, ხურჩისა და ხაიშის მაცხოვრებელთა 70 პროცენტი კმაყოფილია თავისი ცხოვრებით იქ, სადაც ისინი ცხოვრობენ.

ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ მაცხოვრებლები არ ელოდებიან სიტუაციის გაუარესებას, ყოველ შემთხვევაში რამდენიმე სფეროში: ესაა კრიმინალური სიტუაცია, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია, ინფრასტრუქტურის განვითარება და მოქალაქეთა დაცულობა მართლწესრიგის ორგანოთა თანამშრომლების ძალადობისგან. მართალია, მრავალი რესპონდენტი საკმაოდ მძიმედ აღიქვამს ცხოვრებას, მაგრამ ამ ფონზე გაკვირვებას იწვევს ის ოპტიმიზმიც, რომლითაც ეს ადამიანები მომავალს უყურებენ. მართლაც, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ფიქრობს, რომ უახლოეს მომავალში საქმე უკეთესობის-

კენ წავა, 65 პროცენტი მიიჩნევს, რომ მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა უახლოეს სამ წელიწადში გაუმჯობესდება, 40 პროცენტი რაიმე სერიოზულ ცხოვრებისეულ ცვლილებას არ გეგმავს და მხოლოდ 27 პროცენტი განიხილავს თავისი პროფესიის შეცვლის შესაძლებლობას.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოიყო რესპონდენტების რამდენიმე კატეგორია თუ კლასტერი, რომელთა ფარგლებში გაერთიანება მოხდა ძირითადი მოსაზრებებისა და ფასეულობების მსგავსების მიხედვით. კლასტერული ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო სამი ამგვარი ძირითადი კლასტერი, რომლებსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს: „ბედნიერი ადამიანების“ (28%), „დეპრესიული ოპტიმისტების“ (31%) და „დაბნეულების“ კლასტერები (40%). ამ კლასტერებად დაყოფას უკავშირდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ეს არის ეკონომიკური კეთილდღეობის ან სიღარიბის დონე.

პირველ კლასტერში გაერთიანებული ადამიანები ცხოვრებაში თავს კომფორტულად გრძნობენ. დაახლოებით 60 პროცენტის განცხადებით, მათ იპოვეს საკუთარი ადგილი ცხოვრებაში და ზოგადად კმაყოფილი არიან საკუთარი თავითაც და ცხოვრებითაც. „ბედნიერების“ დემოგრაფიული სურათი აჩვენებს, რომ სქესი და ოჯახური მდგომარეობა არ არის არსებითი კლასტერისათვის მისაკუთვნებლად – პირველ კლასტერში განაწილებულები თანაბრად არიან როგორც ქალები, ისე მამაკაცები, და მათგან დაახლოებით 40 პროცენტი დაქორწინებულია. ამასთან, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ასაკი, რაც არსებითად განასხვავებს პირველ და მესამე კლასტერებს. პირველ, „ბედნიერების“ კლასტერში შესულია ძირითადად ახალგაზრდა თაობის ადამიანები (25-37 წლის ასაკი). ამავე დროს, პირველი კლასტერის რესპონდენტების 65 პროცენტის საშუალო შემოსავალი თვეში 400 ლარს აღემატება და მათგან 54 პროცენტი მოხვდა „საშუალო მდგომარეობისა“ და „შეძლებულების/მდიდრების“ ჯგუფებში. ამ ადამიანების 98 პროცენტი მომავალს იმედით უყურებს, ისინი ან ცხოვრებაში არაფრის შეცვლას არ გეგმავენ (40%), ან სურვილი აქვთ შეიცვალონ პროფესია (23%). პირველ კლასტერში მოხვედრილი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მაცხოვრებელია (86 პროცენტი, დევნილთა 14 პროცენტთან შედარებით). ამათგან ნახევარზე მეტს აქვს უმაღლესი განათლება და თითქმის თანაბრადაა წარმოდგენილი დასქმებულები და უმუშევრები. ამრიგად, პირველი კლასტერი არის უპირატესად მდიდარი, განათლებული ადგილობრივი მაცხოვრებლების (და არა დევნილების) ჯგუფი, 25-დან 37 წლამდე ასაკის, რომლებიც ცხოვრებაში თავს კომფორტულად გრძნობენ და მომავალსაც იმედის თვალთ უყურებენ. ეს ადამიანები არ აპირებენ საკუთარი ცხოვრების რადიკალურად შეცვლას.

სიდიდით მეორე კლასტერი სრულიად განსხვავებულია პირველისაგან. ამ კლასტერში მოხვედრილ რესპონდენტებს თავიუფლად შეიძლება ენოდოს „დეპრესიულები“. აქ არ არიან ადამიანები, ვინც თავს კომფორტულად გრძნობს, არამედ ისინი, ვინც ან „მუდმივ დისკომფორტს“ (45%) განიცდიან, ან „არცთუ ისე კომფორტულად“ გრძნობენ თავს (54%). ამ კლასტერში შესული პრაქტიკულად ყველა რესპონდენტი თვლიდა, რომ ადგილი ვერ იპოვა ცხოვრებაში, ხოლო 60 პროცენტზე მეტი საერთოდაც უკმაყოფილოა ცხოვრებით. ამ კლასტერში ქალების წილი ოდნავ მაღალია მამაკაცებისაზე, მაგრამ ეს განსხვავება არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. ამ ჯგუფში არც ასაკი თამაშობს რაიმე როლს, რადგან აქ სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის ადამიანებია გაერთიანებული. თითქმის 80 პროცენტს ყოველთვიური შემოსავალი 300 ლარზე ნაკლები აქვს, რაც განაპირობებს მათ განაწილებას „ღარიბების“ კატეგორიაში, სიღარიბის ობიექტური ინდექსის მნიშვნელობის შესაბამისად. ამასთან, ამ კლასტერის წარმომადგენლების 87 პროცენტი მომავლის იმედს გამოთქვამს (ეს ტენდენცია შეინიშნება ყველა კლასტერში). პირველ კლასტერთან შედარებით, ოდნავ მეტია იმ ადამიანების რაოდენობა, ვისაც უნდა პროფესიისა თუ სამუშაო ადგილის შეცვლა (40%). დევნილები და ადგილობრივები თითქმის თანაბრად არიან წარმოდგენილი. კლასტერში რესპონდენტების 61 პროცენტს აქვს ზოგადი ან პროფესიული განათლება, ხოლო მათი აბსოლუტური უმრავლესობა უმუშევარია (85%). ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ კლასტერში უპირატესად შედიან ღარიბი უმუშევრები, რომელთაც ძირითადად მხოლოდ საშუალო განათლება აქვთ მიღებული (პროფესიულ-ტექნიკური ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა) და რომლებიც ცხოვრებაში თავს არაკომფორტულად გრძნობენ, ვერ იპოვეს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი და ძირითადად ცხოვრებით უკმაყოფილონი არიან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი მომავალს ოპტიმიზმით უყურებენ!

მესამე კლასტერში შესული ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა თავს „არცთუ კომფორტულად“ გრძნობს (75%). ისინი დაბნეული არიან და არ იციან, იპოვეს თუ არა საკუთარი ადგილი ცხოვრებაში. რაც შეეხება ცხოვრებით კმაყოფილებას, როგორც ჩანს, ეს არ არის განმსაზღვრელი ფაქტორი, რადგან აქ თანაბრად არის წარმოდგენილი როგორც ცხოვრებით კმაყოფილნი, ისე უკმაყოფილონი. მესამე, „დაბნეულთა“ კლასტერის რესპონდენტებისათვის ძირითადად დამახასიათებელია დაბალი შემოსავალი (50 პროცენტს – 300 ლარზე ნაკლები და მათ შორის 20 პროცენტს – 100 ლარზე ნაკლები თვეში). მიუხედავად ამისა, ისინი უკეთეს ეკონომიკურ მდგომარეობაში არიან, ვიდრე მეორე ჯგუფის წარმომადგენლები და სიღარიბის ობიექტური მაჩვენებლის მიხედვით განეკუთვნებიან ჯგუფს „საშუალო მდგომარეობის/სიღარიბის ზღვარზე“. უმუშევრების წილი უფრო დაბალია მეორე კლასტერთან შედარე-

ბით (65%). როგორც სხვა დანარჩენ კლასტერებში, აქაც უმრავლესობა, 95 პროცენტი, მომავალს იმედით უყურებს. მაგრამ თითქმის ყოველი მეხუთე ჯერ კიდევ არ არის გარკვეული საკუთარ სამომავლო გეგმებში და არ იცის რა უპასუხოს, როდესაც კითხვა გეგმებს შეეხება. ამ ადამიანთა 60 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეებია, რომელთაც ან საშუალო და ან უმაღლესი განათლება აქვთ, ხოლო მათი საშუალო ასაკი 42 წელს ზემოთაა. ამგვარად, მესამე ჯგუფი ძირითადად შედგება საშუალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, საშუალო ასაკის პირებისაგან. ისინი დაბნეული არიან და არ შეუძლიათ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის განსაზღვრა ან სამომავლო გეგმების დანყობა. ამას შეიძლება საშუალო ასაკის კრიზისიც ეწოდოს, მაგრამ ეს უფრო უნდა უკავშირდებოდეს ამ ჯგუფის წარმომადგენლების გაძნელებულ ადაპტაციას სწრაფად ცვალებად პირობებსა და დროის მოთხოვნებთან, რაც სრულიად განსხვავდება მათი ახალგაზრდობის ხანისაგან.

სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის, ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოებებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ძირითადი მიზნები, რეგიონის განვითარებასა და დევნილების მხარადაჭერასთან დაკავშირებით, ყოველთვის არ იყო თანამიმდევრული და შედეგიანი, თუმცა მაინც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საზოგადოების ტრანსფორმაციისა და საარსებო პირობების გაუმჯობესების საქმეში. ზოგადად, შეიმჩნევა ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარი როგორც ობიექტური გაუმჯობესება, ისე ამ ყველაფრის სუბიექტური აღქმა, რაც აისახა კიდევ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებსა და ექსპერტებთან ჩატარებულ ჩაღრმავებულ ინტერვიუებში. რესპონდენტების უმრავლესობის შეფასებით (87%), ბოლო 3-4 წელია ხალხი გაცილებით უფრო უასფრთხოდ გრძნობს თავს, ვიდრე მანამდე. ასევე დადებითია ბოლო სამი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალ სფეროში მომხდარი ცვლილებების ზოგადი შეფასება. რესპონდენტებმა გამოყვეს შემდეგი რამდენიმე არე, რომელშიც, მათი აზრით, ბოლო სამ წელიწადში სიტუაცია გამოსწორდა. ესაა: პოლიტიკური სტაბილურობა (67%), ინფარსტრუქტურის გაუმჯობესება (77%), სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა (77%), სოციალური დაცვის სისტემა (62%) და დანაშაულთან ბრძოლა (89%). ერთადერთი სფერო, სადაც, საკმაოდ მრავალი რესპონდენტის აზრით, სიტუაცია გაუარესდა, არის ქართულ-აფხაზური ურთიერთობები. მაგრამ აქაც აბსოლუტური უმრავლესობა

მიიჩნევს, რომ პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. სხვა ყველა სფეროში უფრო მეტი ემხრობა აზრს, რომ ვითარება გაუმჯობესდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე და დევნილების მაღალი კონცენტრაცია ქმნის ამ რეგიონის სპეციფიკას. სწორედ ამ ფაქტის გამო რეგიონში ხორციელდება პრობლემებზე რეაგირების მრავალი პროგრამა, რეგიონის ძირითადი სირთულეების – უმუშევრობისა და სიღარიბის (რაც, მართალია, იმავდროულად მთელი ქვეყნის პრობლემაცაა) – მოსაგვარებლად. ასე, მაგალითად, გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოს მთავრობას 2006-2010 წწ.-ში დახმარებას ოთხი მთავარი მიმართულებით უწევდა. ესენია – ეკონომიკური განვითარება, დემოკრატიული მიმართულებობა, კრიზისების თავიდან აცილება და ბუნებრივი გარემოს დაცვა. ორგანიზაცია ამ სფეროებში თანამშრომლობას დღემდე პრიორიტეტულად მიიჩნევს.

2000-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საქართველოს მთავრობამ მიიჩნია, რომ დრო მომწიფდა სტრატეგიული გადასვლისთვის სარეაბილიტაციო პროგრამებიდან (ანუ საგანგებო სიტუაციებსა თუ მათ შემდგომ პერიოდზე მორგებული ჰუმანიტარული პროგრამები) გრძელვადიანი განვითარების პროგრამებზე – საქართველოს ყველა რეგიონში, მათ შორის, სამეგრელო-ზემო სვანეთშიც. რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2009 წელს შეიქმნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ასევე დამტკიცდა საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია. 2011-2015 წწ.-ის სამოქმედო გეგმა პრიორიტეტულად მიიჩნევს რეგიონების მდგრად ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთშიც. შესაბამისი სფეროები, საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ჩართულია რეაგირების მიმდინარე პროგრამებში. მათ აერთიანებს საბოლოო მიზანი – ადამიანის განვითარება, რაც, თავის მხრივ, შეიძლება უკავშირდებოდეს განვითარების ხელშეწყობის შემდეგ კონკრეტულ ამოცანებს: ა) საარსებო საშუალებების/შემოსავლების შექმნა-განვითარებაში დახმარებას და ბ) დევნილებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერას. რეგიონში პრობლემების მოგვარების მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელთა მოსაგვარებლადაც მიმართულია მიმდინარე პროექტები, წარმოადგენს ამ პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვა.

ქვემოთ მოგვყავს მიმდინარე პროგრამების მოკლე შეფასება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურად რეაგირებენ ისინი იმ არსებულ პრობლემებზე, რომლებიც რეგიონის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე ახდენენ გავლენას. კონკრეტულად, პროგრამები შემდეგი პარამეტრების მიხედვით განიხილებოდა:

1. რეგიონის საჭიროებებისა და პრიორიტეტების რელევანტურობა (ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება – დასაქმება, სამუშაო ადგილები და სიღარიბის დონის დაწევა; ხარისხიანი განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა);
2. იძულებით გადაადგილებულ პირთა ინტეგრაცია ადგილობრივ თემებთან (პროცესი და შედეგი);
3. დევნილების, ინვალიდების, მოხუცების, ბავშვების, მარტოხელა დედების – მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების შესაძლებლობების გაძლიერება;
4. მოსახლეობისა და მმართველობის ორგანოების გენდერული მგრძობელობის გაზრდა;
5. ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა; სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაცია;
6. მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს შორის მშვიდობის, მიმტევებლობისა და ურთიერთნდობის ხელშეწყობა.

მოცემული პროექტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია შემდეგი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა:

- ყველა განხილულ პროექტში, მეტნაკლები სიაშკარავით, პირდაპირ თუ ირიბად ჩანს, რომ პროგრამების ამოცანაა წვლილი შეიტანონ სამიზნე ჯგუფების კეთილდღეობის საქმეში (ანუ ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში), მათ საჭიროებებზე რეაგირების ადეკვატური და ეფექტური ზომების მიღებით.
- არსებული დოკუმენტების უმრავლესობაში ღიადაა დეკლარირებული, ან ნაგულისხმევი მაინც, რომ აუცილებელია ჰუმანიტარული დახმარებისა და ე.წ. „პოსტკრიზისული“ პროგრამებიდან განვითარების პროგრამებზე გადასვლა. ამასთან დაკავშირებით, ზოგმა გადაუდებელი დახმარებით დაკავებულმა ორგანიზაციამ შეკვეცა კიდევ თავისი ყოფნა ქვეყანაში (ასე, მაგალითად, 2010-2011 წწ.-ში განვითარების სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭომ დახურა საქართველოში მოქმედი თავისი განათლებისა და საცხოვრებლების პროგრამები და წყვეტს ყოფნას ქვეყანაში).
- პროექტების უმრავლესობა მიზნად ისახავს დევნილთა ფსიქოსოციალურ და სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას ადგილობრივ თემებთან და, ზოგადად, დევნილების დახმარებას.
- პრაქტიკულად ყველა დონორი ითხოვს საქმიანობაში გენდერული საკითხების გათვალისწინებას, მაგრამ ამ მიმართულებით უფრო ეფექტურად მოქმედებენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც გენდერული მგრძობელობა თავის მანდატსა და მისიაში აქვთ ჩართული.

- ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს სხვადასხვა სამთავრობო დაწესებულებასა თუ მმართველობის სხვადასხვა დონის უწყებებს შორის კოორდინაცია. იგივე ეხება ზოგი პროგრამის ფარგლებში კოორდინაციასა და პარტნიორობას, თუმცა ამჟამად შეიმჩნევა დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესების ტენდენცია.

მოცემულ ეტაპზე ნაადრევია პროგრამების გრძელვადიანი შედეგების შეფასება და შეიძლება მხოლოდ განისაზღვროს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და განვითარების შემაფერხებელი გარკვეული ფაქტორები.

ძლიერ მხარეებში შედის:

- საგანგებო და საგანგებოს შემდგომი (ჰუმანიტარული) დახმარებიდან განვითარების დახმარებაზე გადასვლაზე ყურადღების გამახვილება;
- პროექტების ადგილობრივ სპეციფიკაზე მისადაგების ტენდენცია;
- შედარებით გრძელვადიანი (4-5 წელი) პროექტების მომრავლება (უწყვეტობის შენარჩუნება);
- მრავალსექტორული მიდგომა, ყურადღების მიქცევა ერთდროულად სხვადასხვა სფეროსათვის, რომელთაც განვითარებისათვის ესაჭიროებათ დახმარება;
- ინტეგრირებული მიდგომა, რომელშიც იძულებით გადაადგილებულ პირებთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი სამიზნე ჯგუფებიც არიან ჩართული;
- მეტი გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების მისაღწევად ხელისუფლების ნახალისება;
- რეგიონულ, ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან პარტნიორობა;
- ფოკუსირება იმაზე, რომ განათლების საშუალებით მოხდეს პოტენციალის გაძლიერება (პროფესიული განათლება, ადამიანის უფლებების სწავლება, საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროექტების მართვა);
- ახალგაზრდობის პოტენციალის გაძლიერებაზე ყურადღების გამახვილება;
- ზრდასრულთა გადამზადებაზე ფოკუსირება (ახალი ცოდნისა და სამუშაო უნარ-ჩვევების შექმნა);
- ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვის მიმართ გაზრდილი ყურადღება;
- პროექტების განხორციელების პროცესში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვა.

მიმდინარე პროექტებისა და პროგრამების **სუსტი მხარეები** და **ხარვეზები**:

- არასაკმარისი ყურადღება იმ ჯგუფების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ საჭიროებენ გადაუდებელ (ჰუმანიტარულ) დახმარებას.
- სხვადასხვა მონყვლადი ჯგუფის საჭიროებების მიმართ მიდგომების არასაკმარისად დიფერენციაცია.
- არასაკმარისი ყურადღება გრძელვადიანი „პოსტპროგრამული“ სიტუაციისა და საჭიროებების მიმართ (მაგალითად, პროფესიული მომზადების კურსებგავლილთა დასაქმებასთან დაკავშირებული თემა).
- არასაკმარისი დაფარვა/ჩართვა ყველა რელიგვანტური სამიზნე ჯგუფისა (მაგ., არასაკმარისი ყურადღება ხანშიშესულთა მიმართ).
- არასაკმარისი ძალისხმევა „უბრალო ადამიანების“ შესაძლებლობების გასაფართოებლად, ასევე ყველა ასაკობრივ ჯგუფში სამოქალაქო ჩართულობისა და მოხალისეობის ნახალისების მიმართულებით.
- არასაკმარისი ძალისხმევა მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად გარემოს დაცვის, გენდერული თანასწორობის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული თუ სამოქალაქო აქტიურობის მიმართულებით.
- ადგილობრივი თვითმმართველობის სხვადასხვა დონეს შორის კოორდინაციის არქონა, მათ შორისაც კი, ვინც ერთსა და იმავე პროგრამაშია ჩართული, რაც უკავშირდება როგორც კვალიფიკაციისა და მოტივაციის ნაკლებობას, ისე კადრების ხშირ ცვლას.
- სტრატეგიული გრძელვადიანი ძალისხმევების ნაკლებობა ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების გამოსასწორებლად.
- ეკონომიკური, დემოგრაფიული და სოციალური ინფორმაციის სანდო წყაროების ნაკლებობა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა ხარისხიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება.
- სტრატეგიული დოკუმენტებისა და ეროვნული სამოქმედო გეგმების არარსებობა ან არსებული დოკუმენტების მოძველება/არაეფექტურობა, ზოგ შემთხვევაში კი, კანონმდებლობაში არსებული შეუსაბამობები.

ზოგადი შემზღუდავი ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან განვითარების პროექტებისა და პროგრამების ეფექტურ განხორციელებას:

- მთლიანად ქვეყნისა თუ ცალკეული რეგიონების (კონფლიქტის ზონების ჩათვლით), პერსპექტივისა და განვითარების პრიორიტეტების გამოკვეთილი ხედვის არქონა.
- ქვეყანაში სიღარიბისა და მონყვლადობის მასშტაბი, დევნილთა პრობლემების ჩათვლით.

- სახელმწიფო მოღვაწეთა და საჯარო მოხელეების მიერ ზოგჯერ გამოვლენილი არაადეკვატური კვალიფიკაცია, მოტივაცია და პროფესიული ეთიკური ნორმებისადმი ერთგულება.
- მთავრობასა და საზოგადოებას შორის დიალოგის ტრადიციის სისუსტე.
- დემოკრატიული და მმართველობითი ინსტიტუტების, განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის, განუვითარებლობა.
- ჯანდაცვისა და განათლების (როგორც სასკოლო, ისე პროფესიული თუ უმაღლესი) არაადეკვატური სისტემა.
- უკიდურესად დაბალი შრომის წარმადობა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, რომელსაც ამწვავებს განუვითარებელი მიწის ბაზარი, ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული სავარგულების სიმცირე და სათანადო საკრედიტო უზრუნველყოფის ნაკლებობა.

სპეციფიკური ფაქტორები, რომლებიც ხელს უშლიან სამეგრელო-ზემო სვანეთში განვითარებაზე ორიენტირებული პროექტებისა და პროგრამების ეფექტურ განხორციელებას:

- კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე და სატრანსპორტო იზოლაცია, რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს.
- დევნილთა უმეტესობა ცხოვრობს რთულ პირობებში და ხშირად მთლიანადაა დამოკიდებული სახელმწიფო დახმარებაზე, რაც ავითარებს დამოკიდებულების სინდრომს და თრგუნავს ეკონომიკურ ინიციატივას.
- რეგიონში მცირემწარმოებლური სოფლის მეურნეობის დომინირება, მიწის შეზღუდული (და არაერთგვაროვნად განაწილებული) ფონდის პირობებში, მონოკულტურაზე ორიენტაციით (თხილი, მანდარინი) და გავერანებული პლანტაციების (ჩაი, ტუნგი და ა.შ) რეაბილიტაციისათვის მასშტაბური ინვესტირების აუცილებლობით.
- მიუხედავად არაერთი მცდელობისა, არ არსებობს რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელსაც მხარს უჭერს მოსახლეობა და სამოქალაქო საზოგადოება.
- საზოგადოების ძლიერი პოლიტიზირება, დათრგუნული სამოქალაქო ინიციატივა, და ხელისუფლების მიმართ შიშის სინდრომი.
- საზოგადოების კონსერვატიულობა, რომელიც ეფუძნება პატრიარქალურ ფასეულობებსა და არაფორმალური ურთიერთობებისა და კლანური პატრონაჟის ღრმად ფესვებგადგმულ სისტემას.
- განათლების ადგილობრივი სისტემის სისუსტე, განსაკუთრებით – უმაღლესი განათლებისა, რასაც რეგიონიდან საუკეთესო კადრების გადინებამდე მივყავართ.

დასკვნა

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში რეგიონის მაცხოვრებლებმა ბევრი დრამატული მოვლენა გადაიტანეს. დღეისათვის ნათელია, რომ აქ ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული სიღარიბე და მისი გამომწვევი უმუშევრობა. ეს აისახება რესპონდენტების გამოკითხვით გამოვლენილ უკიდურესად მატერიალისტურ ფასეულობებზე; მათთვის ყველაზე მთავარი ცხოვრებაში, როგორც ჩანს, არის ეკონომიკური კეთილდღეობა და, ასევე, ნებსრიგი ქვეყანაში, დემოკრატიული თავისუფლებები კი სადღაც უკანა პლანზე იწევს.

ეკონომიკური მდგომარეობა ყველგან ერთნაირი არ არის – ქალაქებში იგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე სოფლად, ხოლო ზოგ დასახლებაში (განსაკუთრებით, სადაც დიდი რაოდენობით დევნილები ცხოვრობენ) – უბრალოდ კატასტროფულია: ასეთ დასახლებებში მოსახლეობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო სოციალურ დახმარებაზე, რომელიც საარსებოდ ძლივს არის საკმარისი. ასეთი ყოფა მოსახლეობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზეც აისახება – სწორედ ასეთ დასახლებებში აღინიშნება დისკომფორტის მუდმივი შეგრძნება, რაც ვნებს ადამიანების ფსიქოლოგიურ განვითარებას და აფერხებს მათ პიროვნულ თვითრეალიზაციას.

ადამიანების მეორე ჯგუფში შედის ხალხი, ვინც შესაძლოა მიეკუთვნონ ე.წ. „დაკარგულ თაობას“ – ეს არის ძირითადად უფროსი ასაკის ადამიანები, ვისაც აღარ შესწევს ძალა მიესადაგოს მოვლენათა განვითარებას, მოახდინოს მიმდინარე ცვლილებებთან ადაპტირება და ცხოვრებაში იპოვოს საკუთარი ადგილი. მათ ეს განასხვავებს უფრო ახალგაზრდა და დინამიკური თაობისაგან, რომლის წარმომადგენლებიც მზად არიან ცვლილებებისათვის და თავს არ გრძნობენ დაკარგულად.

იმის გათვალისწინებით, რომ რესპონდენტების უმრავლესობის ცხოვრება საკმაოდ დუხჭირია, გასაკვირია მათი ოპტიმიზმი, ადამიანებისა და ინსტიტუტების მიმართ გამოვლენილი ნდობა, საერთო მდგომარეობის გამოსწორების შეგრძნება, მოთმინების გარკვეული დონე, და მიმტვევბლური, ზოგჯერ კი გამოხატულად კეთილგანწყობილი დამოკიდებულება ეთნიკურად აფხაზებისა თუ რელიგიური უმცირესობების მიმართ (თუმცა ეს მიმტვევბლობა ნაკლებად ეხება ე.წ. „არატრადიციულ“ კონფესიებსა და, როგორც სხვა კვლევებიდან არის ცნობილი, სექსუალურ უმცირესობებსაც).

ხშირად რესპონდენტებს თავად არ შეუძლიათ განსაზღვრონ საკუთარი დეპრივაციის დონე ან დაინახონ მათ წინაშე მდგარი სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემა. მათ ნაკლებად აღელვებთ ადგილობრივ თუ სხვა დონეებზე გადანყვეტილების მიღების პროცესში საკუთარი მონაწილე-

ობის საკითხი ან, ვთქვათ, გარემოს დაცვის პრობლემები. ზოგჯერ კი, მაგალითად, წყალგაყვანილობით წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემების შემთხვევაში ზუგდიდსა თუ სხვა ადგილებში, თითქოს ხალხი შეეგუა პრობლემას, იყენებენ ჭებს და პრაქტიკულად აღარც გამოთქვამენ უკმაყოფიებას სასმელ წყალსა თუ კანალიზაციასთან (რაც ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა ბევრგან) დაკავშირებით. ამასთან, ბევრმა აღნიშნა გზების ცუდი მდგომარეობა, რაც ასევე მნიშვნელოვანია ცხოვრებისა თუ გადაადგილებისათვის. მთავარ სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პრობლემებს შორის გამოიყო სამედიცინო სამსახურების სიმორე და ძნელად ხელმისაწვდომობა. განსაკუთრებით მძიმეა იმ ოჯახების მდგომარეობა, სადაც ჰყავთ ქრონიკული დაავადების მქონე ან უნარშეზღუდული პირები, რადგან არ არსებობს სოციალური სამსახურები, რომლებიც ასეთ ადამიანებს ყოფას შეუმსუბუქებდა.

მიუხედავად იმისა, რომ შეინიშნება ბევრი მიმართულებით სიტუაციის გაუმჯობესების შეგრძნება (გარდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობებისა), რესპონდენტები იმეათად აცნობიერებენ, რომ უკეთესობისაკენ ცვლილების უკან ხშირად დგას საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა და მხარდაჭერა და მათი წვლილი ხშირად არ არის სათანადოდ დაფასებული.

რეგიონში მიმდინარე პროგრამების განხილვამ აჩვენა, რომ მათი შედეგიანობის გაუმჯობესებისათვის არსებობს მნიშვნელოვანი სივრცე, რაც პირველ რიგში გულისხმობს ამ პროგრამების სტრატეგიულ დაგეგმვასა და კოორდინაციას, მათ შორის, ცალკეულ სახელმწიფო უწყებებსა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორისაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მოსახლეობის ზოგ მონყვლად ვგუფს (ესენია, პირველ რიგში, ხანშიშესულები და ინვალიდები) არ გააჩნია არც სახელმწიფოს და არც არასამთავრობო სააგენტოებისა და ორგანიზაციებისაგან ადეკვატური მხარდაჭერა.

რეკომენდაციები

ვლევების შედეგებისა და ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდა საქართველოს ხელისუფლებისთვის ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციების ნაკრები, რომელთა გათვალისწინებაც მართებთ რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებსაც.

გამოცდილებამ აჩვენა, რომ არსებული სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები (როცა ასეთი არსებობს) საჭიროებს გადახედვასა და განახლებას, დაგროვილი გამოცდილებისა და დაშვებული შეცდომე-

ბის ანალიზის გათვალისწინებით. ეს განსაკუთრებით შეეხება დევნილთა ინტეგრაციასთან, რეგიონულ განვითარებასთან, კონფლიქტის ზონებში მოქმედებებთან, გენდერულ თანასწორობასთან, თვითმმართველობის ინსტიტუტების განვითარებასთან, განათლებისა და ჯანდაცვის სისტემებსა და საჯარო სამსახურებთან დაკავშირებულ დოკუმენტებს.

არ არის ადვილი, რომ ოცნლიანი ხარვეზიანი მართვის შემდეგ ადვილად და სწრაფად გამოსწორდეს სოციალურ-ეკონომიკური ფონი. აუცილებელია ვალიროთ, რომ არსებობს ბევრი პრობლემა, რომელიც აფერხებს რეგიონის განვითარებას, თუმცა საწყის ეტაპზე უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს საზოგადოებრივი თანამონაწილეობის საკითხი. საჭირო რეფორმებისა და ცვლილებების განხორციელების პროცესს შეუძლია გამოიწვიოს გარკვეული სახის საზოგადოებრივი წინააღმდეგობა, განსაკუთრებით, თუკი საქართველოში კვლავაც იქნება პოლიტიკური არამდგრადობა, საგარეო საფრთხეები და ეკონომიკური სირთულეები. რეფორმების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ზრდა შეიძლება გამოიწვიოს დეზინფორმაციამ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მოვლენების არასაკმარისად გაშუქებამ, პოლიტიკური დისკურსის ხასიათმა, მოსახლეობასა და ხელისუფლებას შორის დიალოგის ნაკლებობამ და დაგეგმვისა და მართვის რეალურმა ნაკლოვანებებმა.

ბევრი პრობლემაა დაკავშირებული დევნილების ადგილობრივ თემებთან სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასთან – რამდენადაც უახლოეს დროში მათი აფხაზეთში დაბრუნების პერსპექტივები ნაკლებად რეალურია. განსაკუთრებით საჭიროებენ დახმარებას მოშორებულ სოფლებში მცხოვრები, დამოუკიდებელი შემოსავლის არმქონე დევნილები, რომ მათ შეძლონ ეკონომიკური და სოციალური სინამდვილის მოთხოვნებთან ადაპტირება, სასარგებლო სოციალური კავშირებისა და კონტაქტების დამყარება, კანონმდებლობის სპეციფიკის, ბიზნესის ეთიკისა თუ ზოგჯერ მისი დეფიციტის, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების გაგება; საჭიროა მათთვის განათლების მიღების, ზოგჯერ – კარიერის განვითარების, შესაძლებლობების მიცემა. ადამიანის უფლებებისა და იურისპრუდენციის სფეროშიც არსებობს ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი (მაგალითად, რა უფლებები აქვთ დევნილებს როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, და როგორ უნდა შეძლონ გამოიყენონ ეს უფლებები).

რამდენადაც საქართველოს სახელმწიფოს არ მოეპოვება საკმარისი ფინანსური თუ სხვა ტიპის მატერიალური რესურსი, ასევე ხშირად – მმართველის გამოცდილება, რათა მთლიანად დააკმაყოფილოს მოსახლეობის საჭიროებები, პროცესის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია საერთაშორისო დახმარებაზე. მაგრამ სწორედ სახელმწიფოა ვალდებული, რომ ნათლად განსაზღვროს თავისი მიზნები და პრიორიტეტები და იკისროს რეფორმების წარმატებით განხორციელება. ამჟამად ქართული

სახელმწიფო მშენებლობის გადამწყვეტი პერიოდია და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, ადამიანური ღირსების შემლახავი სიღარიბის აღმოფხვრა, განსაკუთრებით კი აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის გასწვრივ, წარმოადგენს ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების საქმეში გადასადგმელ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს.

ქართული პოლიტიკური ლანდშაფტი ძალიან მოკლე დროში კარდინალურად შეიცვალა. ბოლო რამდენიმე თვეში მომხდარ პოლიტიკურ მოვლენებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც წარსულთან საქართველოს დამოკიდებულების ჩამოყალიბების, ისე მომავლის განსაზღვრისათვის. საქართველოს, როგორც სტაბილური, დემოკრატიული ქვეყნის განვითარება, რომელიც სულ უფრო მეტად ერთვება გლობალურ ეკონომიკასა და სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობაში, უნდა დებურადაა დამოკიდებული მთავარი ამოცანების მიღწევაზე როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ისე ყველა დონეზე დემოკრატიზაციის სფეროში, განსაკუთრებით კი, თვითმმართველობის ქვედა რგოლის აღდგენაზე ადგილობრივ/სასოფლო თემების დონეზე. ეს განსაკუთრებით აქტუალურია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისთვის, მისი სიდიდისა და ნაირგვარობის გათვალისწინებით.

რეგიონისა თუ მთელი ქვეყნის განვითარების პროცესის გარდამავალი და ეფექტური ხასიათის უზრუნველსაყოფად მთავრობამ უნდა შეიმუშაოს კარგად გააზრებული გრძელვადიანი სტრატეგია, რომელიც იქნება დეტალურიც და მოქნილიც. დაგეგმვის ეს ინსტრუმენტი უნდა იყოს გამჭვირვალე და უნდა ითვალისწინებდეს ხელთ არსებულ და სამომავლოდ ხელმისაწვდომ რესურსებს. ამგვარად შეიმუშავებულმა სტრატეგიამ უნდა გააერთიანოს პროცესის მონაწილე სხვადასხვა მხარის ინტერესები, გაითვალისწინოს მოსალოდნელი გავლენა საზოგადოებაზე და მოსალოდნელი სირთულეები, ასევე უნდა ჩართოს ცვალებადი რეალობის პირობებში აუცილებელი მონიტორინგის, უკუკავშირისა და რეგულირების მექანიზმები.

რაც შეეხება სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისა და, განსაკუთრებით, გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე ტერიტორიის პრობლემებს, ისინი პირდაპირ უკავშირდება ზემოჩამოთვლილ სპეციფიკურ მახასიათებლებს – გეოგრაფიულ მდებარეობას (კონფლიქტის ზონასთან სიახლოვე, უტრანსპორტობით გამოწვეული იზოლირება), ეკონომიკას (ნაკლებეფექტური და დაბალშემოსავლიანი სოფლის მეურნეობის მოჭარბება, სახნავ-სათესი მიწების სიმცირე), სოციალურ ვითარებას (დიდი რაოდენობის დევნილი მოსახლეობა, მასობრივი მიგრაცია და ინტელექტის გადინება, არაეფექტური სოციალური სამსახურები – განათლება, ჯანდაცვა), ადგილობრივი ხელისუფლების სისტემის პოლი-

ტიზირებასა და კლანურობას და საზოგადოების კონსერვატიზმს. ეს კი ნიშნავს, რომ დაგეგმვისას აუცილებლად გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ფაქტორი.

გამოკვლევამ აჩვენა ნებისმიერი ღონისძიებისა თუ სახალხო პოლიტიკის შედეგების წინასწარი გათვლებისა და შეფასების აუცილებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც კარგად გამოჩნდა დევნილების ფოცხო-ენერში გადასახლების მაგალითზე, შედეგი არ იქნება გეგმის შესაბამისი (სოფელი დატოვა ქალაქებიდან ჩაყვანილმა ყველა დევნილმა). ზოგადად შეიძლება აღინიშნოს, რომ დევნილების დიდი რაოდენობის შემთხვევაში უმჯობესია მათი ქალაქურ გარემოში განსახლება, და არა სოფლად, რადგან სწორედ ქალაქის პირობებში, სადაც უფრო დიდია დასაქმების არჩევანი და შესაძლებლობები, მათ უკეთ შეუძლიათ ადაპტირება და ოჯახისათვის საარსებო საშუალებების გამონახვა. სხვა შემთხვევაში გარდაუვალია დევნილთა ნაკადის სპონტანური და უმართავი გადასვლა ქალაქებში, რაც ხდება კიდევ. ამასთან აუცილებელია შემუშავდეს პატარა ქალაქების განვითარების სტრატეგია, რომ შეჩერდეს მოსახლეობის იქიდანაც გამოდინება.

ნათელია, რომ რეგიონის ეფექტურად განვითარების ნებისმიერი პროგრამა უნდა ეფუძნებოდეს სამოქმედო გეგმას, რომელსაც განიხილავენ, როგორც განვითარების ეროვნული სტრატეგიის ბუნებრივ ნაწილს, და რომელიც, თავის მხრივ, დაეყრდნობა სანდო მონაცემებსა და საზოგადოებასთან დიალოგს. მაგრამ ამგვარი გეგმის შემუშავებამდე და მისი რეალიზაციისათვის აუცილებელი საშუალებების ჩართვამდე, დღესაც კარგად ჩანს გარკვეული პრიორიტეტები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს – ეს, პირველ რიგში, არის რეგიონული ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ტრანსპორტის უქონლობით გამოწვეული იზოლირების დაძლევა, უმაღლესი განათლების რადიკალურად გაუმჯობესება, გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები საზოგადოების ეკონომიკური თანამშრომლობის მხარადაჭერა და მოსახლეობის განსაკუთრებით მონყვლადი და გაჭირვებული ჯგუფების, მათ შორის დევნილების, პრობლემების სასწრაფოდ მოგვარება.

ჩამოთვლილი პრიორიტეტები კიდევ ერთხელ გამოკვეთს რეგიონის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავების, საჯარო განხილვისა და, რაც მთავარია, თანამიმდევრულად განხორციელების აუცილებლობას. ამგვარი გეგმის არსებობა დაეხმარება როგორც საერთაშორისო ორგანიზაციებს, ისე სახელმწიფო დაწესებულებებსა და სხვა აქტორებს, რომ ეფექტურად დაგეგმონ, კოორდინირება გაუწიონ და განახორციელონ თავიანთი პროექტები და პროგრამები, მიმართული რეგიონის განვითარებაზე, რაც იმსახურებს გაცილებით უფრო დიდ მიზანმიმართულ ყურადღებას, ვიდრე დღეს არსებობს.